ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ბ. გ, ქ. ჯ
საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: ნ. გ /სიითი №/, მ. კ /სიითი №/, ც. ა /სიითი №/
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.11.2015
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 087/15
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - თ. ქ /სიითი № 1161/
ადვოკატის წარმომადგენელი: მ. ნ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ქ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2015 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ბ. გ.-მ და ქ. ჯ.-მა და მოითხოვეს ადვოკატ თ. ქ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატი თ. ქ. მათ მოწინააღმდეგე მხარეების ინტერესებს წარმოადგენს მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებულ დავაში.

1.3 მოცემულ სადავო ქონების, მდებარე - ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილის №, მართლზომიერი მფლობელი იყო ბ. გ-ის დედის მეუღლე ვ. წ. ვ. წ-ს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწაზეც ჰქონდა აშენებული საცხოვრებელი სახლები და მის მფლობელობაში არსებულ ნაგებობებს აქირავებდა სხადასხვა პირებზე.

1.4 საჩივრის ავტორების განცხადებით, ბ. გ-ის დედის მამკვიდრებლის, ვ. წ-ის სახელზე საჯარო რეესტრის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში აღრიცხულია მოცემული სადავო ქონება. ბ. გ-ის, განმარტებით, მოცემული ქონება 2012 წელს სამკვიდრო მოწმობების საფუძველზე საჯარო

რეესტრში დარეგისტრირდა მის სახელზე, რა დროსაც დადგინდა, რომ საჩივრის ავტორის დედის მეუღლის შვილიშვილობის პრეტენზია ჰქონდა მ. თ.-ს, რომელმაც წარმოადგინა ანდერძი დედამისის სახელზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ საჩივრის ავტორის დედის მეუღლე მას უტოვებდა მთლიან ქონებას, რის თაობაზეც ბ. გ-მ მიმართა გამოძიებას.

1.5 ბ. გ-ის განმარტებით, ვ. წ-მა ნ. გ-ს, რომელიც მათ ედავება ქონების მითვისებაში და რომლის ინტერესებს სასამართლოში იცავდა თ. ქ, დროებით სარგებლობაში გადასცა ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი.

1.6 საჩივრის ავტორების განმარტებით, სადავო ქონებაზე ასევე პრეტენზია ჰქონდა ც. ბ-საც, როგორც „ატსტუპნიკს". სასამართლოში მიმდინარე დავისას საქმეში ჩაერთო ადვოკატი თ. ქ, როგორც ც. ბ-ის ინტერესების წარმომადგენელი.

1.7 საჩივრის ავტორების განმარტებით, 2015 წლის ნოემბრის თვეში თ. ქ-მ გამართა სატელევიზიო ბრიფინგი, რომელზეც განაცხადა, რომ ბ. გ-მ უკანონოდ შეიძინა მთლიანი ვერეს ხეობა და მიითვისა 10 ოჯახის საკუთრება, რომლებიც მათ მიერვე იყო აშენებული. ბრიფინგზე თ. ქ-მ განაცხადა, რომ ადვოკატებმა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მიაღებინეს ბ. გ-ს მემკვიდრეობა, რომელსაც თაღლითურად აქვს მითვისებული ქონება, რომელიც შემდგომ გადაასხვისა ქ. ჯ-ზე და ამ საკითხზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

1.8 საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატ თ. ქ-ის მიერ სიმართლე მხოლოდ ის ითქვა, რომ მათ წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ვაკე-საბურთალოს პოლიციაში დაწყებულა გამოძიება ბ. გ-ის მიერ თაღლითური გზით ქონების მითვისების ფაქტზე. მომჩივანებმა მოცემულ საკითხზე პროკურატურას მიაწოდეს დოკუმენტაცია და მოითხოვეს გამომძიებლისა და პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არარსებულ ფაქტებზე საქმის გამოძების დაწყების გამო. საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატ თ. ქ-ის საქციელი არ შეესაბამება პროფესიული ქცევის სტანდარტებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ თ. ქ-ის 2015 წლის 12 დეკემბრის წერილობითი ახსნა-განმარტების, თანახმად, საჩივარში არასწორად არის მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ის პროვოკაციული ხასიათისაა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ვ. წ-ის უძრავი ქონების დამოუკიდებლად ფლობის საკითხს პროკურატურა და სასამართლო გაარკვევს, რადგან ამის მტკიცებულებები არ არსებობს. ადვოკატის განცხადებით, ბ. გ-ის მიმართ პრეტენზიები აქვთ ქ.თბილისში წყნეთის გზატკეცილის № 1-ში მცხოვრებლებს და არსებობს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ თითოეული მათგანი ნამდვილად ფლობდა დამოუკიდებლად უძრავი ქონების სხვადასხვა ნაწილს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, როგორც ო. და გ. გ.-ების წარმომადგენელი ის ბ. გ-ს ედავება იმ კუთხით, როგორც მათ სურთ. ადვოკატის განმარტებით, საქმის მასალებით დგინდება, რომ ო. გ ნამდვილად იყო უძრავის ქონების დამოუკიდებელი მფლობელი და აღნიშნულ საკითხსაც პროკურატურა და სასამართლო დაადგენს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ც. ბ. ქ. ჯ-ს ედავებოდა უძრავი ქონების ნაწილზე. ც. ბ-ის თხოვნით მან უკან გამოიხმო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი, რადგან იგი იყო არა „ატსტუპნიკი", არამედ უძრავი ქონების დამოუკიდებელი მფლობელი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მისთვის უცნობია მ. თ-ს ვინაობა და მისი წარმომადგენელი ის არასდროს ყოფილა, რაზეც აშკარად მეტყველებს საჩივარზე თანდართული სასამართლო გადაწყვეტილებები.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მას უფლება აქვს, როგორც ადვოკატმა გამართოს ბრიფინგი მის წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით და გამოთქვას საკუთარი აზრი, რაც მისი მარწმუნებლის ინტერესებისა და უფლებების დაცვას ემსახურება. მოცემული ბრიფინგი გაიმართა ქ.თბილისში, მცხოვრებლების ინიციატივით, რომლებმაც ასევე სხვა ტელევიზიის ეთერში ადვოკატის მონაწილეობის გარეშე გამოთქვამდნენ პრეტენზიებს ბ. გ-ის, ქ. ჯ-ს და სხვათა მიერ ქონების მითვისების ფაქტზე.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ბ. გ-ს არ გააჩნია პროკურატურაში წარსადგენი რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ თ. ქ და მარწმუნებლები ცრუობენ. ბ. გ-ისა და ქ. ჯ-ს მიერ მის მიმართ საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოტანის ინიციატორები არიან მათი ადვოკატები - ნ. გ და მ. კ., რომლებიც ბ. გ-ს და ქ. ჯ.-ს ეხმარებიან ყველა იმ საქმეში, რომლებიც უკავშირდება უძრავი ქონების ბ. გ-ის სახელზე დაკანონებას და შემდგომში ქ. ჯ.-ზე გასხვისების საკითხს.

2.8 მისი მარწმუნებლების მიერ ბ. გ-ის და ქ. ჯ-ს მიმართ პროკურატურაში საჩივრის შეტანამ და სისხლის სამართლის საქმის აღძვრამ ნ. გ და მ. კ. დააყენეს იმ სარგებლის დაკარგვის საფრთხის წინაშე, რაც მათ მიიღეს უძრავი ქონების ბ. გ-ის სახელზე საეჭვო დაკანონებით და შემდგომ ქონების ნაწილების გასხვისებით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2016 წლის 25 მარტს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ქ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან, საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატმა თ. ქ-მ სატელევიზიო ბრიფინგზე განაცხადა შემდეგი: "...ვერეს ხეობის დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლები, მათი კუთვნილი მიწები და მათი ეზოები, რომლებიც მათ ჰქონდათ საკუთრებაში და მართლზომიერ მფლობელობაში ***თაღლითური გზით გადაიფორმა, სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით*** - სავარაუდოდ, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს, ბ. გ-მ... შემდეგ ბ. გ-მ რამოდენიმე თვეში გადაასხვისა ეს მიწა ქ. ჯ.-ზე, რომელმაც ბინების მიხედვით მიწა დაყო სხდასხვა საკადასტრო კოდებად, ვინაიდან შესაძლებელი ყოფილიყო ეჩვენებინა რეალობა, რომ ვითომდა ეს სახლები და მიწები ეკუთვნოდა მემკვიდრეს ანუ ქ. გ.-ს..." (ვერეს ხეობის მცხოვრებთა საგანგებო ბრიფინგის ვიდეო ჩანაწერი; 00:20-01:02), შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორთა აღნიშნული ფრაზებით მოხსენიება, როგორიც არის „თაღლითური გზით...", „სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით", შესაძლებელია სცილდებოდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზღვარს და ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარეთა უფლებების შელახვას წარმოადგენდეს.

3.4 საპროცესო კოლეგიის წევრი ნელი ვარდიაშვილი არ დაეთანხმა მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობის სხვა წევრების გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატ თ. ქ-ის მიმართ და მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორთა შემდეგი ფრაზებით მოხსენიებით, როგორიც არის „თაღლითური გზით...“, „სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით“, არ ირღვევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 საჩივრის ავტორების - ბ. გ-ისა და ქ. ჯ.-ს მოწინააღმდეგე მხარეების ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი თ. ქ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებულ დავაში.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

2. ვერეს ხეობის მცხოვრებთა საგანგებო ბრიფინგის ვიდეო ჩანაწერი;

4.2 ადვოკატ თ. ქ-ის მარწმუნებელთა - გ. გ.-ის და ც. ბ-ის მფლობელობაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების და მათზე მდგომი საცხოვრებელი სახლების საჩივრის ავტორის - ბ. გ-ის მიერ თაღლითურად დაუფლების ფაქტზე გამოძიების დაწყება.

1. ვაკე-საბურთალოს სამმართველოს დექტექტივების განყოფილების 2015 წლის 28 ოქტომბრის მიმართვის წერილი ადვოკატ თ. ქს. (ს.ფ.98)

4.3 ადვოკატმა თ. ქ.-მ მის მარწმუნებლებათან ერთად გამართულ სატელევიზიო ბრიფინგზე განაცხადა შემდეგი: “...ვერეს ხეობის დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლები, მათი კუთვნილი მიწები და მათი ეზოები, რომლებიც მათ ჰქონდათ საკუთრებაში და მართლზომიერ მფლობელობაში ***თაღლითური გზით გადაიფორმა, სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით*** - სავარაუდოდ, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს, ბ. გ.-მ... შემდეგ ბ. გ.-მ რამოდენიმე თვეში გადაასხვისა ეს მიწა ქ. ჯ.-ზე, რომელმაც ბინებისდამიხედვით მიწა დაყო სხდასხვა საკადასტრო კოდებად, ვინაიდან შესაძლებელი ყოფილიყო ეჩვენებინა რეალობა, რომ ვითომდა ეს სახლები და მიწები ეკუთვნოდა მემკვიდრეს ანუ ქ. გ.-ეს...“

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

ვერეს ხეობის მცხოვრებთა საგანგებო ბრიფინგის ვიდეო ჩანაწერი; 00:20-01:02

4.4 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში სადავო ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობს.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ქ-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ თ. ქ-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმები:

6.1.1. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები".

6.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს".

6.2 ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, უფლება აქვს „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით", მათ შორის, კლიენტის ინტერესების დაცვისას, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ის „შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას".

6.3 აღნიშნულთან დაკავშირებით, ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე -20 მუხლი უთითებს, რომ "ადვოკატი უნდა სარგებლობდეს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტით ყველა განცხადების მიმართ, რომელიც მას წარდგენილი აქვს სასამართლოსა თუ ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე, კეთილსინდისიერად, ზეპირი ან წერილობითი ფორმით".

6.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის №076/10 გადაწყვეტილებაში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი".

6.5 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის უფლებაა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება კლიენტის ინტერესების დასაცავად, მათ შორის გააკეთოს საჯარო განცხადება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების თაობაზე, რასაც ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლებით გათვალისწინებული მოკლე პროცედურა, რომლის მიხედვით, დანაშაულის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება.

6.6 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან...“ აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ადვოკატი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ვალდებულია, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე მის გარეთ, მათ შორის კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, საჯარო განცხადების გაკეთებისას, დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და ეთიკური ვალდებულებები კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

6.7 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ თ. ქ-ის მიერ მის მარწმუნებლებთან ერთად 2015 წლის 05 ნოემბერს გამართულ სატელევიზიო ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება - “...ვერეს ხეობის დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლები, მათი კუთვნილი მიწები და მათი ეზოები, რომლებიც მათ ჰქონდათ საკუთრებაში და მართლზომიერ მფლობელობაში ***თაღლითური გზით გადაიფორმა, სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით*** - სავარაუდოდ, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს, ბ. გ-მ... შემდეგ ბ. გ-მ რამოდენიმე თვეში გადაასხვისა ეს მიწა ქ. ჯ-ზე, რომელმაც ბინებისდამიხედვით მიწა დაყო სხდასხვა საკადასტრო კოდებად, ვინაიდან შესაძლებელი ყოფილიყო ეჩვენებინა რეალობა, რომ ვითომდა ეს სახლები და მიწები ეკუთვნოდა მემკვიდრეს ანუ ქ. გ-ეს...“ წარმოადგენდა კლიენტთა კანონიერი ინტერესებს დაცვას. ადვოკატმა თ. ქ-მ მიუთითა, რომ მოცემულ სადავო საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რა დროსაც ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა სწრაფი და ეფექტური გამოძიების დაწყების თაობაზე ყურადღების გამახვილება და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება მისი კლიენტის მიმართ დარღვეული უფლებებისადმი, რაც უკავშირდება უძრავ ქონების თაობაზე დავას და თავად მოწინააღმდეგე მხარის ბრალეულობას და არა შეურაცხყოფას. ადვოკატი უფლებამოსილია მოახდინოს კლიენტის ინტერესების დემონსტრირება, როგორც კერძოდ, ასევე საჯაროდ, თუ არსებობს თავად კლიენტის თანხმობა.

6.8 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორთა მოხსენიება, როგორიც არის - „ ***თაღლითური გზით“, „სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით*** სავარაუდოდ...„ არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზღვარს და არ წარმოადგენს ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარეთა უფლებების შელახვას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა სავარაუდოდ თაღლითობის ჩადენაში დაადანაშაულა მოწინააღმდეგე მხარე. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემული სატელევიზიო განცხადება შესაძლოა არ იყოს მისაღები საჩივრის ავტორებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, მაგრამ ის არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოწინააღმდეგე მხარეთა ღირსების შელახვას.

სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე–19 მუხლით, მე-20 მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე № 087/15 ადვოკატ თ. ქ-ს /სიითი N/არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/